

**14. საქართველოს პარლამენტის მიმართვა მსოფლიოს ყველა ქვეყნის პარლამენტებს, 1993 წლის 2 ოქტომბერი.**

საქართველოს პარლამენტის მიმართვა მსოფლიოს ყველა ქვეყნის პარლამენტებს მოგმართავთ ჩვენს კოლეგებს, მსოფლიოს ყველა ქვეყნის პარლამენტარებს მაქსიმალური საშუალებებით აღმოგვიჩინონთ დახმარება საქართველოს წინააღმდეგ სეპარატიზმისა და ინტერვენციის შედეგად აფხაზეთიდან ასიათასობით ლტოლვილისა და იძულებით აყრილი მშვიდობიანი მოქალაქის - ქართველის, რუსის, სომეხის და სხვა ეროვნების ადამიანების - სიცოცხლის გადარჩენის საქმეში.

სახელწმიფოს არ გააჩნია შესაძლებლობა უზრუნველყოს აფხაზეთიდან ეთნიკური წმენდის შედეგად განდევნილი არააფხაზი მოსახლეობის - ქალების, ბავშვების, მოხუცების, დაჭრილების გადმოყვანა, უსაფრთხო ზონაში უზრუნველყოს ისინი სათანადო კვებით, ტანსაცმლით, სატრანსპორტო და სამედიცინო საშუალებებით.

კიდევ ერთხელ გამოვთქვამთ იმედს, რომ ცივილიზებული მსოფლიო გულგრილი არ დარჩება საბედისწერო განსაცდელში ჩავარდნილი ასი ათასობით ლტოლვილის მიმართ.

**თბილისი, 1993 წლის 2 ოქტომბერი.**

**(საქართველოს პარლამენტის უწყებები, # 13, 1993, გვ. 234)**